პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● № 219 (7280) ● შაბათი, 16 ნოემბერი. 1982 წ. ● ფასი 3 კაპ.

საბჭოთა ხალხი ლენინის დროშით, ლენინური პარტიის წინამძღოლობით გმირული შემართებით იღვწის სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მშვიდობისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაკრძალვა

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

საბჭოთა ხალხი ღრმა მწუხარებით გამოეთხოვა 15 ნოემბერს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

...კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. უკანასკნელ საპატიო ყარაულში განსვენებულის კუბოსთან დგებიან ამხანაგები **ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, ჰ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. ვ. რუსაკოვი.**

სამგლოვიარო ვახტზე იდგნენ დამკრძალავი კომისიის წევრები **ა. პ. ალექსანდროვი, ს. ა. შალაევი, ბ. ნ. პასტუხოვი, ნ. ნ. ბლოხინი, გ. მ. მარკოვი, ტ. ნ. ხრენიკოვი, ნ. ა. პონომარიოვი, ს. თ. ბონდარჩუკი, გ. ტ. ბერეგოვოი, ა. თ. გორდიენკო, ვ. ა. სმირნოვი, ვ ნ. გოლუბევა, ა. ვ. გიტალოვი.**

11 საათია. დარბაზში რჩებიან ლ. ი. ბრეჟნევის ნათესავები და ახლობლები. გამოთხოვების უკანასკნელი წუთები დგება.

სამგლოვიარო მელოდიის ხმებში ლ. ი. ბრეჟნევის ცხედარი გამოასვენეს სვეტებიანი დარბაზიდან და დაასვენეს საარტილერიო ლაფეტზე. კორტეჟი ნელა მიემართება წითელი მოედნისაკენ.

სამგლოვიარო პროცესიაში ლ. ი. ბრეჟნევის კუბოს მწუხარე დუმილით მიაცილებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები, დამკრძალავი კომისიის წევრები, განსვენებულის ნათესავები და ახლობლები, მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პროცესიის წინ მოაქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ქვეყნის შრომითი კოლექტივების ასობით გვირგვინი, რომლებიც კავშირების სახლში მათი სახელით მოიტანეს, აქვეა საზღვარგარეთის დელეგაციათა გვირგვინები.

წითელი ატლასის ბალიშებზე მოაქვთ საბჭოთა ჯილდოები და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ჯილდოები, რომლებითაც ლ. ი. ბრეჟნევი დაჯილდოვდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის პოსტზე მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის.

წითელი მოედანი ხალხით არის სავსე. მწყობრში დგანან მოსკოვის გარნიზონის ჯარების ნაწილები. მათ კოლონებს დაუხრიათ საბრძოლო დროშები.

სამგლოვიარო პროცესია მავზოლეუმთან შეჩერდა. ლაფეტიდან კუბო კვარცხლბეკზე გადაასვენეს.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, ჰ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. ვ. რუსაკოვი,** დამკრძალავი კომისიის წევრები.

სტუმართა ტრიბუნებზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხედართმთავრები, წარმოების მოწინავენი.

აქვეა ლ. ი. ბრეჟნევის დაკრძალვაზე ჩამოსული მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი.

აქ არიან პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი (დელეგაციის მეთაური), ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ფილიპოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ჟულევი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი (დელეგაციის მეთაური), გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰ. გეტინგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი; ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა — ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჩიონგ ტინი (დელეგაციის მეთაური), ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუეგ კო თხატი, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დინ ნიო ლიემი; იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. სტამბოლიჩი (დელეგაციის მეთაური), იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. რიბიჩიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი ლ. მოისოვი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. დრულოვიჩი; კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი პაკ სენ ჩერი (დელეგაციის მეთაური), კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი, კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე კიმ ენ ჩხე, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე კილ ჩე გენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კვონ ხი გენი; კუბის რესპუბლიკისა — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო რუსი (დელეგაციის მეთაური), კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები რამირო ვალდეს მენენდესი და კარლოს რაფაელ როდრიგეს როდრიგესი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რენე ანილიო კაპოტე; ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი სუფანუვონგი (დელეგაციის მეთაური), ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ფუმი ვონგვიჩიტი, ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წე-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს მოაქვთ ლ. ი. ბრეჟნევის კუბო.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაკრძალვა

(გაგრძელება)

ვრი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ქხამფაო ბუფა, ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ქხამტა დუანგ თხონგლა; მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი (დელეგაციის მეთაური), მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. გოტოვი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. იაბლონსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ჩირეკი; რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ (დელეგაციის მეთაური), რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი კ. დესკალესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ანდრეი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი (დელეგაციის მეთაური), უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ლოშონცი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში შ. რაინაი; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი (დელეგაციის მეთაური), ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჩ. ლოვეტინსკი.

აქ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური წარმომადგენელი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ხუა (დელეგაციის მეთაური), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იან ბოუჯენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგე მა სიუიშენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი ვან ძინცინი.

ტრიბუნებზე არიან დელეგაციები: საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის ჟ. მარშეს მეთაურობით; ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის გ. ჰოლის მეთაურობით; გერმანელთა კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის ჰ. მისის მეთაურობით; პორტუგალიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ა. კუნიალის მეთაურობით; იტალიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ე. ბერლინგუერის მეთაურობით; საბერძნეთის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ხ. ფლორაკისის მეთაურობით; ჩილეს კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ლ. კორვალანის მეთაურობით; ურუგვაის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის რ. არისმენდის მეთაურობით; ავსტრიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის ფ. მურის მეთაურობით; დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის გ. მაკლენანის მეთაურობით; ირლანდიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის მ. ორიორდანის მეთაურობით; კანადის კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის უ. კაშტანის მეთაურობით; ბელგიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის ლ. ვან გეიტის მეთაურობით; ფინეთის კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის ი. კაიანოის მეთაურობით; შვეიცარიის შრომის პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ა. მანიენის მეთაურობით; დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიისა— პარტიის თავმჯდომარის ჰ. შმიტის მეთაურობით; დანიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის ი. ენსენის მეთაურობით; ნორვეგიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის ჰ. კლევენის მეთაურობით; მუშათა პარტია — შვეციის კომუნისტებისა — პარტიის გამგეობის თავმჯდომარის რ. ჰაგელის მეთაურობით; ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის რ. ურბანის მეთაურობით; სანმარინოს კომუნისტური პარტიისა — პარტიის თავმჯდომარის ე. ჟასპერონის მეთაურობით; ლიბანის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ჟ. ჰაუის მეთაურობით; ისრაელის კომუნისტური პარტიისა— პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ვილნერის მეთაურობით; ბოლივიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ხ. კოლე კუეტოს მეთაურობით: ჰონდურასის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რ. პადილიას მეთაურობით; მაროკოს პროგრესისა და სოციალიზმის პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ალი იატას მეთაურობით; მალტის კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ა. ვასალოს მეთაურობით; ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რ. ტეოდორის მეთაურობით; სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის მ. მაბიდას მეთაურობით; გაიანის სახალხო პროგრესული პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ჩ. ჯაგანის მეთაურობით; ტუნისის კომუნისტური პარტიისა — პარტიის პირველი მდივნის მ. ხარმელის მეთაურობით; დომინგოს კომუნისტური პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ნარსისო ისა კონდეს მეთაურობით; ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ბ. ქარმალის მეთაურობით; იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა — იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ა. ნ. მუჰამედის მეთაურობით; კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისა — კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ჰენგ სამრინის მეთაურობით; სირიის არაბთა რესპუბლიკისა — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰ. ასადის მეთაურობით; ანგოლის სახალხო რესპუბლიკისა — მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარის, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. ე. დუშ სანტუშის მეთაურობით; სოციალისტური ეთიოპიისა — დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის, ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარის მენგისტუ ჰაილე მარიამის მეთაურობით; ნიკარაგუის რესპუბლიკისა — ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრის, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორის, რევოლუციის კომანდანტეს დანიელ ორტეგა სააავედრას მეთაურობით; კონგოს სახალხო რესპუბლიკისა— კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის დ. სასუ-ნგესოს მეთაურობით; მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკისა — ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მ. მაშელის მეთაურობით; მალის რესპუბლიკისა — მალიელი ხალხის დემოკრატიული საბჭოს გენერალური მდივნის, რესპუბლიკის პრეზიდენტის მ. ტრაორეს მეთაურობით; ზამბიის რესპუბლიკისა — ზამბიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის გენერალური მდივნის ხ. მულემბას მეთაურობით; გვინეა-ბისაუს რესპუბლიკისა — გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების აფრიკელთა დამოუკიდებლობის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი მდივნის ვ. კაბრალის მეთაურობით; მწვანე კონცხის რესპუბლიკისა — მწვანე კონცხის კუნძულების აფრიკელთა დამოუკიდებლობის პარტიის ეროვნული საბჭოს პოლიტიკური კომისიის წევრის, ეროვნული სახალხო ასამბლეის თავმჯდომარის ა. დუარტეს მეთაურობით; ერთიანობისა და ეროვნული პროგრესის პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის, ბურუნდის ეროვნული კრების თავმჯდომარის ე. მვორობას მეთაურობით, ეგვიპტის ეროვნულ-პროგრესული (მემარცხენე) პარტიისა — პარტიის გენერალური მდივნის ხ. მოხი ედ-დინის მეთაურობით; სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესისა — აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტის ო. ტამბოს მეთაურობით; სამხრეთ დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციისა, ნამიბია, — სამხრეთ დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტის ს. ნუიომას მეთაურობით; ინდოეთის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ეროვნული საბჭოს მდივნის ნ. კ. კრიშნანის მეთაურობით; სირიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის დ. ნაამეს მეთაურობით; ბანგლადეშის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მანზურულ ახსან ხანის მეთაურობით; ესპანეთის კომუნისტური პარტიისა— პარტიის გენერალური მდივნის მოადგილის ხ. ბალესტეროს პულიდოს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრის ფ. რომერო მარინის მეთაურობით; მემარცხენე პარტია — შვეციის კომუნისტებისა — პარტიის გამგეობის აღმასკომის წევრის ბუ ჰამარის მეთაურობით; კოლუმბიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და სამდივნოს წევრის მ. სეპედას მეთაურობით; პარაგვაის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრის ანანიას მაიდანას მეთაურობით; სალვადორის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრის მარიო როლანდო აგინიადა კარანსას მეთაურობით; სენეგალის დამოუკიდებლობისა და შრომის პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის ა. დანსოკოს მეთაურობით; ეგვიპტის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი მ. კიამელი; პალესტინის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ნ. ალ-აბბაბი, იაპონიის კომუნისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს თავმჯდომარის მ. კანეკოს მეთაურობით; იაპონიის სოციალისტური პარტიისა — პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ასუკატას მეთაურობით; მარტინის კომუნისტური პარტიისა — პარტიის პოლიტბიუროს წევრი ფ. დიუფელი; ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა — პარტიის აღმასკომის წევრი ფ. ლოპეს რეალი; ბაჰრეინის ეროვნული განთავისუფლების ფრონტისა — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი ა. მაჰმუდი; მადაგასკარისა — მადაგასკარის განვითარების სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის ე. რაბეუნის მეთაურობით; გვინეისა — გვინეის სახელმწიფოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის პრემიერ მინისტრის ლ. ლანსან ბეავოგის მეთაურობით; ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიისა —პარტიის პოლიტბიუროს წევრის, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი სამდივნოს ხელმძღვანელის მ. შ. მესადიას ხელმძღვანელობით; ბენინისა — ბენინის სახალხო რევოლუციის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ეროვნული რევოლუციური კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილის რ. ვილონ გეზოს მეთაურობით; სიერა-ლეონესი—სიერა-ლეონეს საყოველთაო-სახალხო კონგრესის ხელმძღვანელი საბჭოს წევრის, ქვეყნის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ს. ი. კორომის მეთაურობით.

ესწრებიან დელეგაციები: ავსტრალიისა — ქვეყნის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის ზ. კოუენის მეთაურობით; ავსტრიისა — პრეზიდენტ რ. კირსშლეგერის მეთაურობით; არგენტინისა — თავდაცვის მინისტრის ხ. მ. ვივოტის მეთაურობით; ბელგიისა — პრემიერ-მინისტრის ვ. მარტენსის მეთაურობით; ვატიკანისა —პაპის იოანე პავლე მეორის პირადი წარმომადგენლის ჯ. ბ. მარინი-ბეტოლოს მეთაურობით; დიდი ბრიტანეთისა — საგარეო საქმეთა მინისტრის ფ. პიმის მეთაურობით; ვენესუელისა —საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. სამბრანო ველასკოს მეთაურობით; გაიანისა — ვიცე-პრეზიდენტის ბ. რამსარუპის მეთაურობით; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა — ფედერალური პრეზიდენტი კ. კარსტენსი, ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. დ. გენშერი; გრენადისა — გენერალ-გუბერნატორის პ. სკუნის მეთაურობით; საბერძნეთისა — პრემიერ-მინისტრის ა. პაპანდრეუს მეთაურობით; დანიისა— უფლისწულ ჰენრიკის მეთაურობით; ზიმბაბვესი — რესპუბლიკის პრეზიდენტის კანაან ბანანას მეთაურობით; ეგვიპტისა — პრეზიდენტის თანაშემწის მაჰმუდ სალემის მეთაურობით; ინდოეთისა — პრემიერ-მინისტრის ი. განდის მეთაურობით; ინდონეზიისა— ვიცე-პრეზიდენტის ა. მალიქის მეთაურობით; იორდანიისა — პრემიერ-მინისტრის მ. ბადრანის მეთაურობით; ერაყისა — ვიცე-პრეზიდენტის ტ. მაარუფის მეთაურობით; ირლანდიისა — პრეზიდენტის პ. ჰილერის მეთაურობით; ესპანეთისა — საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. პ. პერეს-ლიორკას მეთაურობით; იტალიისა— სენატის თავმჯდომარის ა. ფანფანის მეთაურობით; იემენის არაბთა რესპუბლიკისა — პრეზიდენტის ა. ა. სალეჰის მეთაურობით; კანადისა —პრემიერ-მინისტრის პ. ე. ტრიუდოს მეთაურობით; კენიისა — საგარეო საქმეთა მინისტრის რ. ჯ. ოუკოს მეთაურობით; კვიპროსისა — პრეზიდენტ ს. კიპრიანუს მეთაურობით; ლესოტოსი — პრემიერ-მინისტრის მოადგილის ე. სენხონიოს მეთაურობით; ლიბიისა — ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წევრის ა. ს. ჯელუდის მეთაურობით; ლუქსემბურგისა — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის კ. ფლეშის მეთაურობით; მალტისა — პრეზიდენტ აგატა ბარბარას მეთაურობით; მაროკოსი — ტახტის მემკვიდრე უფლისწულის სიდი მოჰამედის მეთაურობით; მექსიკისა — ეროვნული კონგრესის სენატის დიდი კომისიის თავმჯდომარის მიგელ გონსალეს აველარის მეთაურობით; ნიგერისა — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, განვითარების საზოგადოების შექმნის ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მაიორ მ. ა. ჯერმაკოეს მეთაურობით; ნიგერიისა — ვიცე-პრეზიდენტ ა. ეკვუემეს მეთაურობით; ნიდერლანდისა — ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოადგილის გ. ვან აარდენეს მეთაურობით; ნორვეგიისა — ტახტის მემკვიდრის ჰარალდის მეთაურობით; პაკისტანისა — ქვეყნის პრეზიდენტის ზია-ულ-ჰაკის მეთაურობით; პორტუგალიისა — საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. ფუტჩერ პერეირას მეთაურობით; სან-მარინოსი — კაპიტან რეგენტების მ. გობის, ლ. ბარულის მეთაურობით; ამერიკის შეერთებული შტატებისა — ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი; ტანზანიისა — ვიცე-პრეზიდენტ ა. ჯუმბეს მეთაურობით; თურქეთისა — პრემიერ-მინისტრ ბ. ულუსუს მეთაურობით; უგანდისა — ვიცე-პრეზიდენტ პ. მუვანგას მეთაურობით; ფილიპინებისა — ეკოლოგიისა და დასახლებათა მინისტრის, დიდი მანძილის მთავარი გუბერნატორის ი. მარკოსის მეთაურობით; ფინეთისა — პრეზიდენტ მ. კოივისტოს მეთაურობით; საფრანგეთისა — პრემიერ-მინისტრ პ. მორუას მეთაურობით; შვეიცარიისა — ვიცე-პრეზიდენტ პ. ობერის მეთაურობით; შვეციისა — პრემიერ-მინისტრ უ. პალმეს მეთაურობით; შრი ლანკისა — საგარეო საქმეთა მინისტრის შაჰუ ჰამიდის მეთაურობით; იაპონიისა — პრემიერ-მინისტრ დ. სუძუკის მეთაურობით.

აქ არიან დელეგაციები: ბრაზილიისა — ელჩი სსრ კავშირში სიზინიო პონტეს ნოგეირა; ბოტსვანისა —ელჩი ს. ა. მპუჩანე; ბირმისა —ელჩი უ ჯო კინი; ისლანდიისა — ელჩი ჰ. კრეიერი; ირანისა — პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი მირ სალიმი; კამერუნისა — სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. ებუა; კოლუმბიისა — ელჩი ჩ. სემპერი, ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ტრიბუნებზე არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხ. პერეს დეკუელიარი, იუნესკოს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ბეკრი. აქ არის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე ი. არაფატი.

ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი.

ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

მძიმე დანაკლისი განიცადეს ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ. დღეს ვეთხოვებით ჩვენი სამშობლოს სახელოვან შვილს, მგზნებარე მარქსისტ-ლენინელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უთვალსაჩინოეს მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ღრმა თანაგრძნობა გამოვუცხადო ლეონიდ ილიას ძის ოჯახსა და ახლობლებს.

ლეონიდ ილიას ძე ეკუთვნოდა იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა პლეადას, რომლებიც აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დამკვიდრებისათვის, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის წლებში.

მუშა და მეომარი, გამოჩენილი ორგანიზატორი და ბრძენი პოლიტიკური მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ხალხთან სისხლხორცეულად, განუყრელად იყო დაკავშირებული. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესების სამსახურს. მთელი თავისი ხალასი ნიჭი, მთელი თავისი უდიდესი ენერგია მან მოახმარა სოციალიზმის თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის, მშრომელი ადამიანების ძმობის, საზოგადოების საქმეს.

პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლეს პოსტებზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი. მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის პოლიტიკა, რომელიც გამსჭვალულია მუდმივი ზრუნვით მშრომელი ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ დამკვიდრდა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმები, ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობის სასიკეთო ატმოსფერო.

ხალხის მეხსიერებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სამუდამოდ დარჩება როგორც მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის გამოჩენილი მებრძოლი. იგი თანამიმდევრულად, სულის მთელი მგზნებარებით იბრძოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ კაცობრიობა ეხსნა ბირთვული ომის საფრთხისაგან, განემტკიცებინა სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირება და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ამხანაგებო! ამ მწუხარების ჟამს, როცა ვეთხოვებით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მთელი ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი აცხადებენ, რომ ურყევად აქვთ გადაწყვეტილი მტკიცედ და თანამიმდევრუ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაკრძალვა

(დასასრული)

ლად განახორციელონ ის სტრატეგიული ხაზი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომელიც მუშავდებოდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი კოლექტიური ხელმძღვანელობის გარშემო, აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, უსაზღვროდ ენდობიან მას. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე, განავითაროს საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები, განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, დაამკვიდროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოძმე ხალხთა მეგობრობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი განუხრელად განახორციელებს პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხის ნებას.

ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოების დიადი თანამეგობრობის შეკავშირება, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რიგების ერთიანობა საერთო მიზნებისა და იდეალებისათვის ბრძოლაში. ჩვენ შევინარჩუნებთ და განვავითარებთ სოლიდარობასა და თანამშრომლობას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებთან, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლასთან, ყოველთვის ვიქნებით მშვიდობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმის ერთგული.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა იმპერიალიზმის ძალები ცდილობენ ხალხებს უბიძგონ მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ, პარტია და სახელმწიფო ურყევად დაიცავენ ჩვენი სამშობლოს საარსებო ინტერესებს, უზრუნველყოფენ დიდ სიფხიზლეს, მზადყოფნას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ აგრესიის ყოველგვარ ცდას. ისინი ამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში, განამტკიცებენ თანამშრომლობას პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან. ყოველთვის მზად ვართ ყველა სახელმწიფოსთან, ვინც ამას მოისურვებს, პატიოსანი, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ამ მწუხარების დღეებში განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი სოციალიზმის ქვეყნების მშრომელების, მოძმე პარტიების, სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლის მხარდაჭერასა და სოლიდარობას, მადლობელი ვართ მათი ამისათვის. ვემადლიერებით აგრეთვე ყველა კონტინენტის ბევრი ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს, რომლებმაც ამ დღეებში პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ აცხადებს, რომ მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის საქმისადმი, კომუნიზმისა და მშვიდობის საქმისადმი სამსახური, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, არის და კვლავაც იქნება მთელი მისი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრი.

მშვიდობით, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! შენი ხსოვნა არასდროს არ ჩაქრება ჩვენს გულში. შენი საქმე გაგრძელდება ჩვენი პარტიისა და ხალხის მიღწევებში!

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი გახსნილად ცხადდება.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვს.

დ. თ. უსტინოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ ძნელ ჟამს ჩვენ ყველანი დიდ მწუხარებას განვიცდით. ჩვენგან წავიდა ჩვენი ამხანაგი და თანამებრძოლი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მთელი დიდი და ნათელი ცხოვრება უკლებლივ მოხმარდა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს. იგი სამარადჟამოდ დარჩება ყველა საბჭოთა ადამიანისათვის იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იმუშაოს ერთგულმა ლენინელმა, ნამდვილმა კომუნისტმა, ჭეშმარიტმა პატრიოტმა და ინტერნაციონალისტმა.

კაცობრიობის მადლიერ ხსოვნაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დარჩება როგორც დაძაბულობის შენელების გამოჩენილი ხუროთმოძღვარი, როგორც მშვიდობისათვის დაუცხრომელი, უდრეკი მებრძოლი.

დიდი სამამულო ომის პირველიდან ბოლო დღეებამდე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ფრონტზე იყო. საბრძოლო ვითარების ყველაზე ძნელ პირობებში პირადი მაგალითითა და მგზნებარე პარტიული სიტყვით მიუძღვოდა მეომრებს გამარჯვებისაკენ. ლეონიდ ილიას ძე უშუალოდ მონაწილეობდა ბევრი ოპერაციის გეგმების შედგენასა და განხორციელებაში, ეწეოდა დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ჯარებში.

მან უდიდესი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენაში. ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებული სსრ კავშირში განვითარებული სოციალიზმის აშენება, ჩვენი სამშობლოს უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. დიდ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარდა ლეონიდ ილიას ძე რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის შექმნის სამუშაოებს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა ჩვენი ქვეყნის საიმედო თავდაცვისუნარიანობის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების უზრუნველყოფას. იგი ყოველდღიურად ზრუნავდა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის. უაღრესად ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე სამხედრო ტექნიკით არმიისა და ფლოტის აღჭურვას, უმაღლეს დონეზე მათი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას.

საბჭოთა ხალხის დიდი შვილი, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი თავისი მუშაობით, კარგად იცნობდა და ღრმად ესმოდა მშრომელი კაცის საზრუნავი და საჭიროებანი. იგი იცნობდა ჯარისკაცის ცხოვრებასაც, დღენიადაგ, მამობრივად ზრუნავდა არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის. მეომრებიც ამ ზრუნვას დიდი სიყვარულით უპასუხებდნენ.

ამხანაგებო!

ამ დღეებში შეიარაღებული ძალების მეომრები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მუდამ მტკიცედ ვუერთგულებთ ოქტომბრის იდეებს, მუდამ ერთად ვიღვაწებთ კომუნისტური მშენებლობის დიადი მიზნების მისაღწევად.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყო და კვლავ იქნება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი. ისინი მუდამ მზად არიან დაიცვან ჩვენი საზღვრების ხელშეუვალობა და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, პირნათლად მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

ამ მწუხარების ჟამს საბჭოთა კავშირის მარშლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კუბოსთან საბჭოთა შეიარაღებული ძალები ძირს ხრიან საბრძოლო დროშებს.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

შენი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში, კომუნისტური პარტიის საქმეებსა და საბჭოთა ხალხის მიღწევებში!

* * *

სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. პ. ალექსანდროვი.

ა. პ. ალექსანდროვის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო!

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა მეცნიერები ღრმად დაამწუხრა თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალებამ. ისევე, როგორც თავის დროზე დიდ ლენინს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მიაჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ორგანიზაცია შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ფართოდ გამოვიყენებთ თანამედროვე მეცნიერებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანისათვის.

იგი ღრმად და სწორად აფასებდა ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების საჭირო თანაფარდობას, დიდ დახმარებას უწევდა მეცნიერების ახალ მიმართულებათა შექმნა-განვითარებას.

ლეონიდ ილიას ძემ უდიდესი შრომა მოახმარა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული ბაზის განვითარებასა და შექმნას, სასურსათო პრობლემისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პრობლემების გადაჭრას ჩვენი სამშობლოს განვითარების ხანგრძლივი პერიოდისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი ხელმძღვანელობით მიაღწია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების მრავალგზის გადიდებას და ეს უდიდესი ძლიერება მოახმარა მთელი კაცობრიობის მთავარი ამოცანის — საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტას.

ლეონიდ ილიას ძეს, როგორც მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლს, ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანი იცნობს. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან გამარჯვების დღემდე ლეონიდ ილიას ძე ფრონტზე იყო. იგი ხედავდა, თუ რა უბედურება მოაქვს ომს ხალხებისათვის და საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ყველა ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაიცვან ქვეყნად მშვიდობა. თავისი უდიდესი ენერგია, თავისი კომუნისტური პრინციპულობა ლეონიდ ილიას ძემ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას მოახმარა.

დაუცხრომლად ზრუნავდა ლეონიდ ილიას ძე ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას მისმა პრინციპულმა მითითებებმა უდიდესი პოზიტიური ზეგავლენა მოახდინეს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაზე.

როგორც ლენინის დიადი საქმის ერთგულმა განმგრძობმა, მან დიდი შემოქმედებითი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში. ამ დამსახურებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ლეონიდ ილიას ძეს მიანიჭა თავისი უმაღლესი ჯილდო — კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი.

ლეონიდ ილიას ძის მთელმა შეგნებულმა ცხოვრებამ ოქტომბრის შემდეგ ჩაიარა. მისი ცხოვრების სკოლა ძნელი იყო, და მხოლოდ მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა და ხალხზე დაყრდნობამ დააყენა იგი ასეთ გამორჩეული ცხოვრების გზაზე, რომელიც ხალხის კეთილდღეობას მიეძღვნა.

ამხანაგებო!

საბჭოთა მეცნიერებს, რომლებიც გულისტკივილით ეთხოვებიან ლეონიდ ილიას ძეს, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, უფრო აქტიურად და ორგანიზებულად იმოქმედონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა ფრონტზე, რათა უზრუნველყონ ჩვენი სამშობლოს ისეთი პროგრესი, რომლისკენაც მოგვიწოდებდა ლეონიდ ილიას ძე!

* * *

სიტყვას ამბობს მოსკოვის საანგარიშო-ანალიზური მანქანების ქარხნის მხეხავი ვ. ვ. პუშკარიოვი.

ვ. ვ. პუშკარიოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ღრმა მწუხარებით არის აღვსილი ჩვენი გული. მოსკოვის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ეთხოვებიან ლენინის დიადი საქმის განმგრძობს, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მწარეა იმის შეგნება, რომ გარდაიცვალა კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე და ჭეშმარიტად ტიტანური შრომა მთლიანად მოახმარა პარტიის დიად საქმეს, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ლეონიდ ილიას ძე, რომელმაც თავისი შრომითი ბიოგრაფია მუშად, ქარხნის საყვირით დაიწყო, ყოველთვის და ყველაფერში ახლობელი იყო მუშათა კლასისათვის, ყველა მშრომელისათვის, განუყრელად იყო დაკავშირებული მათთან.

საბჭოთა ადამიანები ლეონიდ ილიას ძეს უპასუხებდნენ წრფელი, გულითადი სიყვარულით, უდიდეს პატივს სცემდნენ მას და უსაზღვროდ ენდობოდნენ. ყველა თავიანთ წარმატებას კომუნისტურ მშენებლობაში, სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში ისინი სამართლიანად უკავშირებდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელს, მის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობას, მის პირად წარმმართველ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე ყოფნისას ლეონიდ ილიას ძე ოცდახუთ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში. იგი ნიადაგ დიდ ყურადღებას უთმობდა მოსკოვს, სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად მის გადაქცევას, მიდიოდა შრომით კოლექტივებში, გულითადად ესაუბრებოდა მოსკოველებს, მამობრივად ზრუნავდა მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ლეონიდ ილიას ძე არაერთხელ აურჩევიათ სკკპ ყრილობების დელეგატად დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისაგან, ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მოსკოველთა დეპუტატი სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში.

წილად მხვდა პატივი ვყოფილიყავი ნდობით აღჭურვილი პირი, როცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი კენჭს იყრიდა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ბაუმანის საარჩევნო ოლქში. და მე კარგად ვიცი, თუ რა ახლოს მიჰქონდა გულთან მას ადამიანთა საჭიროებანი, ამომრჩეველთა განაწესები, თუ რა დიდი გულთბილობით ეკიდებოდა თითოეულ ადამიანს, რომელთანაც უხდებოდა შეხვედრა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიკვდილი განუზომელად მძიმე დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მწუხარება დაბნეულობას ვერ შეიტანს ჩვენს რიგებში. მოსკოვის მუშათა კლასი, მშრომელები, ისევე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო. ჩვენ ვამრავლებთ შრომით მეცადინეობას, რათა მარად ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ლენინის საქმე, ოქტომბრის საქმე, რათა ხორცს ისხამდეს ქვეყნად კომუნიზმისა და მშვიდობის იდეალები, რომლებსაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

* * *

სიტყვას წარმოთქვამს უკრაინის კომპარტიის დნეპროძერჟინსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თ. გორდიენკო.

ა. თ. გორდიენკოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ყოველმა დნეპროძერჟინსკელმა, დნეპროპეტროვსკელმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა დიდი გულისტკივილით შეიტყო საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის, ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი თანამემამულის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების ამბავი.

უდიდესი ნიჭის, იშვიათი მომხიბლაობის ადამიანის, ლეონიდ ილიას ძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქალაქის ბედი. აქ დაიბადა და გაიზარდა იგი. აქ შევიდა კომკავშირში. აქ 1931 წლის ოქტომბერში გახდა ლენინური პარტიის წევრი. ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში გაიარა პირველი მუშური უნივერსიტეტები, შეითვისა მუშათა კლასის საუკეთესო თვისებები.

მას შემდეგ ლეონიდ ილიას ძე ყველგან და ყოველთვის კომუნიზმისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იყო. იგი შთააგონებდა ადამიანებს, მიუძღოდა მათ ახალი მიღწევებისაკენ დიადი ლენინური იდეალების გამარჯვებისათვის.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ ქალაქთან, ჩვენს საქალაქო პარტიულ ორგანიზაციასთან. მთელი თავისი მოუცლელობის მიუხედავად იგი პოულობდა დროსა და შესაძლებლობას ჩასწვდომოდა ჩვენს საქმეებს, გვამხნევებდა გულთბილი სიტყვითა და მამობრივი რჩევა-დარიგებით. დნეპროძერჟინსკის, მთელი დნეპროპეტროვსკის ოლქის კომუნისტები, მშრომელები ნიადაგ გრძნობდნენ ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყურადღებისა და ზრუნვას. ჩვენს ხსოვნაში წარუშლელი კვალი დატოვა მისმა შეხვედრებმა, გულთბილმა, გულითადმა საუბრებმა თანამემამულეებთან, დიდმა ინტერესმა მათი ცხოვრებისა და მუშაობისადმი.

ლეონიდ ილიას ძის უდიდესი საბრძოლო და შრომითი დამსახურების აღსანიშნავად მის სამშობლოში — ქალაქ დნეპროძერჟინსკში ბრინჯაოს ბიუსტი დაიდგა. იგი მუდამ მოგვაგონებს, თუ რა დიდი პატივი და რა დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თანამემამულეებს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ლეონიდ ილიას ძე აღარ შეგვხვდება, აღარ ჩამოვა ჩვენთან, აღარ გამოიკითხავს, როგორ მუშაობენ ქარხნები, როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, აღარ მოიკითხავს ადამიანებს, აღარ დაინტერესდება პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმეებით. გვიმძიმს ამაზე ფიქრი. დანაკლისი აუნაზღაურებელია.

მედგარმა მარქსისტ-ლენინელმა, გამოცდილმა პარტიულმა ხელმძღვანელმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დიდი და სახელოვანი ცხოვრება განვლო. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოსათვის. მისი ნათელი სახე მარად იცოცხლებს დნეპროძერჟინსკის მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში, როგორც კომუნისტური პარტიის საქმისადმი, საბჭოთა ხალხის საქმისადმი ერთგულების შთამაგონებელი მაგალითი.

განშორების ამ მძიმე ჟამს კარგად გვესმის, რომ მისთვის საუკეთესო ძეგლი იქნება ჩვენი თავდადებული შრომა სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის ჩვენი საყვარელი სამშობლოს, მშვიდობისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

* * *

მიტინგი დამთავრდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ჩამოდიან მავზოლეუმის ტრიბუნიდან, უახლოვდებიან კვარცხლბეკს, რომელზეც ლ. ი. ბრეჟნევის ცხედარი ასვენია. პროცესია კრემლის კედლისაკენ მიემართება.

12 საათი და 45 წუთია. განსვენებულის ცხედარს ნელა უშვებენ სამარეში.

ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, ქუხს ქვემეხების ზალპები. ამავე წუთებში საარტილერიო სალუტს აძლევენ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ-ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, სევერომორსკში, დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიესა და დნეპროძერჟინსკში.

სამგლოვიარო დუმილს მოუცავს მთელი ქვეყანა. ხუთი წუთით შეჩერდა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა. ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინიგზებზე, საზღვაო და სამდინარო ფლოტის გემებზე სამი წუთის განმავლობაში გაისმის საყვირების სალუტი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები კვლავ მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან.

მავზოლეუმის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს მოსკოვის გარნიზონის ჯარების ნაწილებმა. ისინი უკანასკნელ მხედრულ პატივს მიაგებენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელს, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის მარშალს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი. (საკდესი).

დამაჯერებლად!

ლიუცერნში სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდმა XIII ტურში ანგარიშით 2,5:1,5 მოუგო შვედებს და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. კასპაროვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ანდერსონთან, პოლუგაევსკიმ — შლიუსერთან, ბელიავსკიმ — კარლსონთან, ხოლო ტალმა დაამარცხა შნაიდერი. ამ გამარჯვების შემდეგ საბჭოთა გუნდს 40 ქულა ჰქონდა და ბევრად უსწრებდა მომდევნო ადგილებზე მყოფ ჩეხოსლოვაკიისა — 32 (2) და აშშ-ის გუნდებს—32 (1).

ამ ტურში საბჭოთა მოჭადრაკე ქალები აშშ-ს წარმომადგენლებს შეხვდნენ. ჩიბურდანიძემ დაამარცხა სევერეიდი, გაფრინდაშვილმა ყაიმით დაამთავრა პარტია ლანისთან, ალექსანდრიამ მოუგო ჰარინგს. საბოლოოდ — 2,5:0,5 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

13 ტურის შემდეგ საბჭოთა გუნდს 30,5 დაუგროვდა და ბოლო მატჩში ერთი ყაიმიც ჰყოფნიდა ჩემპიონობისთვის.

ოლიმპიადასთან ერთად მუშაობას განაგრძობდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) კონგრესი. კონგრესზე საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი არჩეულ იქნა ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარედ.

გარდა ამისა კონგრესმა, რომელიც მიმდინარეობს ფიდე-ს ახალი პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესის თავმჯდომარეობით, საბჭოთა მოჭადრაკეებს ს. დოლმატოვს (მოსკოვი) და ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი) საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. ეს წოდება ქალთა შორის მიენიჭა კიეველ ლ. სემიონოვას. დიდოსტატთა წოდება მიეკუთვნათ აგრეთვე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. დიდოსტატი ი. ავერბახი აირჩიეს ფიდე-ს საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო დიდოსტატი ნ. კროგიუსი ფიდე-ს წესების კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

სრული უპირატესობა

კარაკასი, 15 ნოემბერი. ვენესუელის დედაქალაქში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სროლაში. საბჭოთა სპორტსმენებმა 64 მედალი დაიმსახურეს. მათ შორის 34 უმაღლესი ხარისხისაა. „ლიბერტადორის" სასროლეთზე ჩვენმა სნაიპერებმა შვიდი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

საკმარისია ითქვას, რომ მეორე ადგილზე გასულმა აშშ-ის გუნდმა მოიპოვა სულ 20 მედალი, რომელთაგან მხოლოდ სამია ოქროსი.

14 ნოემბერს მრგვალ სტენდზე სროლაში ყველას აჯობა საბჭოთა სპორტსმენმა სვეტლანა იაკიმოვამ, მან ახალი მსოფლიო რეკორდი (194 ქულა) დაამყარა და პირველი ადგილიც გაინაღდა, ასეთივე შედეგით მეორე იყო ფენგ მეიმეი, ხოლო მესამე — შაო ვეიპინგი (ორივე — ჩინეთი) — 192. ამავე სტენდზე გუნდურ ტურნირში ახალი მსოფლიო რეკორდით — 436 დაზიანებული სამიზნე — პირველობა არავის დაუთმო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებმა. ვერცხლის მედალი ხვდა აშშ-ის ნაკრებს — 411, ხოლო ბრინჯაოსი — შვეციის გუნდს — 402.

მოძრავ სამიზნეზე პნევმატური შაშხანიდან სროლაში ყველა ჯილდო საბჭოთა სნაიპერებმა დაისაკუთრეს. იგორ სოკოლოვმა 378 ქულა მოაგროვა, სერგეი სევოსტიანოვმა — 376, ხოლო ალექსანდრე ივანჩიხინმა — 375. გუნდურ ჩათვლაში 1505 ქულით გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა, მეორე პრიზიორებს ჩინელ მსროლელებს 1448 ქულა აქვთ, მესამე ადგილზე გასულ ამერიკელებს — 1447.

სტანდარტული შაშხანიდან სროლაში შვეიცარიის გუნდმა იმარჯვა — 2245 ქულა. II ადგილზე გავიდა ნორვეგიის გუნდი — 2243, მესამეზე — საბჭოთა სპორტსმენები — 2238.

სატრანშეო სტენდზე სროლაში 197-197 „თეფში" დაამსხვრიეს ესპანელმა ელადიო ვალდევიმ და იტალიელმა ლიუჩიანო ჯოვანეტიმ. ორივეს ოქროს მედლები გადაეცათ. „ბრინჯაო" დაიმსახურა იტალიელმა დანიელ ჩიონიმ.

საბჭოთა გუნდს ბოლო — ბრინჯაოს მედალი შესძინა როსტოველმა ვლადიმერ ლვოვმა 300 მეტრზე ნებისმიერი შაშხანის სამი მდგომარეობიდან სროლაში. მან 573 ქულა მოაგროვა. ამ სახეობაში პირველი იყო ნორვეგიელი ჰარალდ სტენვაგი — 579, რაც ქულით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს.

„საბჭოთა მსროლელების წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა, — განაცხადა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში მსროლელთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელმა. — ისინი გულმოდგინედ ემზადებოდნენ ოლიმპიადა-80-ისთვის და წარმატებითაც იასპარეზეს. ამერიკელებს კი მონაწილეობა არ მიუღიათ მოსკოვის თამაშებში, რამაც, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია მათს მომზადებაზე".

მორიგი, 44-ე მსოფლიო ჩემპიონატი 1986 წელს ზულში (გდრ) გაიმართება. (საკდესი).

დარჩა ორი ტური

ჩემპიონატის ფინიშზე

სულ 2 ტურიღა დარჩა სსრ კავშირის 1982 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინიშამდე. დღეს და 19 ნოემბერს გაიმართება დასკვნითი კალენდარული მატჩები და ჩვენი საფეხბურთო მარათონიც დამთავრდება.

2 ტური თითქოს ბევრი არაა, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის პრიზიორთა ვინაობა, დასადგენია ის მეორე გუნდიც, რომელმაც უნდა დატოვოს უმაღლესი ლიგა (ერთ-ერთი მათგანი გაირკვა წინა ტურში, როცა ისედაც უიმედო მდგომარეობაში მყოფმა ალმა-ათის „ქაირათმა" ლენინგრადში ანგარიშით 0:5 წააგო „ზენიტთან" და საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი ხვედრი წლევანდელ გათამაშებაში).

განვლილი, 8 ნოემბრის ტურში ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი, უდავოდ, მოხდა კიევში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — კიევის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი". კიეველთა პოტენციური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მეტოქისას: 31 მატჩის შემდეგ მათ 42 ქულა ჰქონდათ, ხოლო სპარტაკელებს 31 თამაშის შემდეგ — 38, ამასთან, წინა ტურში მოსკოველებმა მარცხი იწვნიეს ოდესაში. 4 ქულის უპირატესობა მაშინ, როცა ჩემპიონატის დამთავრებას სულ სამი ტური უკლია, ძალიან ბევრს ნიშნავს, რის გამოც სპარტაკელებს, თითქოს წინასწარ უნდა დაეყარათ ფარ-ხმალი, ვინაიდან დაწინაურებულ კიეველებს ისინი ძნელად თუ დაეწეოდნენ.

მაგრამ „სპარტაკმა" ნამდვილი საბრძოლო თვისებები გამოავლინა, საუკეთესოდ ითამაშა, რევანშიც აიღო (2:1) და ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსიც დაიბრუნა.

იმავე დღეს, 8 ნოემბერს, მოხდა კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ამბავი: გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა — მინსკის „დინამომ" შინ ვერაფერი გააწყო ტაშკენტის „ფახთაკორთან" და ამ გადამწყვეტ ეტაპზე მხოლოდ ქულას დასჯერდა —0:0.

საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდებისთვის ასევე მეტად საყურადღებო იყო მატჩი ერევანში ადგილობრივ „არარატსა" და თბილისის „დინამოს" შორის, რომელიც ასევე ფრედ დამთავრდა — 1:1.

აი, ის გუნდები, რომლებსაც ახლა შესაძლებლობა აქვთ იბრძოლონ პირველი ხუთი ადგილის დასაკავებლად:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." მნ.	32	17	9	6	52—32	43
„დინ." კ.	32	16	10	6	50—22	42
„სპარტ."	32	16	8	8	55—30	40
„დინ." თბ.	32	15	9	8	49—42	39
„არარ."	32	13	10	9	42—43	36

ვისა აქვს უკეთესი შანსები ოქროს მედლების მოსაპოვებლად? როგორც ხედავთ, წინაა მინსკის „დინამო", რომელსაც 2 მატჩი აქვს სათამაშო მოსკოვის „დინამოსთან" და „სპარტაკთან". სტუმრად თამაში საერთოდ ძნელია, მაგრამ ცნობილია, რომ მინსკელები მეტოქის მინდორზე თითქმის ისევე ძლიერად იბრძვიან როგორც შინ, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ახლა ყველაფერს გააკეთებენ წარმატების მოსაპოვებლად. მინსკელთა გუნდი თავისი არსებობის მანძილზე სულ ორჯერ (1954 და 1963 წლებში) იყო ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ახლა კი მას ჩემპიონობის რეალური შანსი გაუჩნდა.

ასეთივე რთული პრობლემის წინაშე იმყოფება კიევის „დინამოც". კიეველები დღეს თამაშობენ თბილისში, შემდეგ კი — ერევანში. ორივე ეს მატჩი ძალიან რთულია, ამასთან ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ კიევის „დინამომ" უკვე ამოწურა ფრეთა ლიმიტი, მინსკის დინამოელებს კი კიდევ აქვთ ერთი „სამარქაფო" შეხვედრა.

თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩები მუდამ გამოირჩევა უკიდურესად დაძაბული, უშეღავათო ბრძოლით, მაგრამ დღეს, როცა სატურნირო სიტუაცია ასეთი მწვავეა, როცა ორივე გუნდს აუცილებლად ესაჭიროება ქულათა მაქსიმუმის აღება დარჩენილ 2 ტურში, მათს შეხვედრას უკვე საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება.

საკავშირო ჩემპიონატებში ათეული წლების მანძილზე თბილისელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ კიეველებთან უშუალო შეხვედრებში, მაგრამ მას შემდეგ, რაც კიევის „დინამო" მტკიცედ ჩადგა საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში, საერთო ბალანსით იგი მჭიდროდ მიუახლოვდა თბილისელებს. ახლა ამ ორი გუნდის საერთო შეფარდება ერთმანეთთან შეხვედრებში ასეთია: თბილისელებმა მოიგეს საკავშირო ჩემპიონატების 26 მატჩი, კიეველებმა — 25. აქტივში ერთი მოგებაა დაგვრჩა, გატანილი და მიღებული ბურთები კი 111:102-ია ჩვენს სასარგებლოდ.

წლეულს პირველ წრეში კიეველებმა თავიანთ მინდორზე, 100 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ანგარიშით 3:1 დაამარცხეს თბილისის „დინამო" და შემდეგ სსრ კავშირის თასის ნახევარფინალური შეხვედრაც მოიგეს ანგარიშით 2:0. ამიტომ თბილისელებმა დღეს ძალების მაქსიმალური დაძაბვით უნდა იბრძოლონ, მათი შეხვედრა ტრადიციულ მეტოქესთან ყოველმხრივ საინტერესო და საყურადღებო იქნება.

გათამაშების ცხრილში ამჟამად მესამე ადგილზე იმყოფება მოსკოვის „სპარტაკი", მაგრამ მას ორივე მატჩი (ლენინგრადის „ზენიტთან" და მინსკის „დინამოსთან") საკუთარ მინდორზე აქვს, სპარტაკელები კი შინ, როგორც ცნობილია, მუდამ ძლიერად თამაშობენ.

თავის სტადიონზე დარჩა სათამაშო, აგრეთვე, ერევნის „არარატსაც" (ოდესის „ჩერნომორეცთან" და კიევის „დინამოსთან"). მაქსიმუმი, რისი დაგროვება ერევნელებს შეუძლიათ, 40 ქულაა, ამდენი კი უკვე აქვს მოსკოვის „სპარტაკს" და ერევნელებმა რომც მოიგონ ეს დარჩენილი მატჩები, ისინი სპარტაკელებს მაინც ჩამორჩებიან მოგებული მატჩების საერთო რაოდენობით, ამიტომ საპრიზო ადგილზე მაინც „სპარტაკი" გავა.

ასეთივე დაძაბული, უშეღავათო ბრძოლაა მოსალოდნელი ცხრილის ქვედა ნახევარში. I ლიგაში გადასვლის ერთი ვაკანსია, როგორც ცნობილია, უკვე შეივსო (ალმა-ათის „ქაირათი"). გუნდები, რომლებმაც საბოლოოდ გაინაღდეს უმაღლეს ლიგაში დარჩენის საქმე, არიან მოსკოვის „დინამო" და ცსკა, მაგრამ ამ უფლებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მოელით დონეცკის „შახტიორს", ქუთაისის „ტორპედოს", ბაქოს „ნეფთჩისა" და კრასნოდარის „ყუბანს".

სატურნირო მდგომარეობა აუტსაიდერთა შორის ასეთია:

„შახტ."	32	10	8	14	40—53	28
„ტორ." ქ.	32	9	9	14	36—44	27
„ნეფთჩი"	32	10	6	16	38—58	26
„ყუბანი"	32	8	8	16	33—45	24
„ქაირათი"	32	6	9	17	32—55	21

როგორც ხედავთ, აქ ქულით წინაა „შახტიორი", მაგრამ დონეცკელებს ორი უძნელესი მატჩი აქვთ ჩასატარებელი ბაქოსა და ქუთაისში, ე. ი. სწორედ იმ გუნდებთან, რომლებიც ასევე თავგამოდებით იბრძვიან უმაღლეს ლიგაში დასარჩენად და იოლად არავის არაფერს დაუთმობენ.

საიმედოდ მიგვაჩნია ქუთაისის ტორპედოელთა სატურნირო მდგომარეობა. ისინი შინ ღებულობენ ჯერ კრასნოდარის „ყუბანს", შემდეგ კი დონეცკის „შახტიორს". ქუთაისელებს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად 2 ქულა სჭირდებათ. ჩვენი აზრით, ტორპედოელთა ჩინებულ კოლექტივს სრული შესაძლებლობა აქვს წარმატებით იბრძოლოს დასახული მიზნის მისაღწევად. მისი ახლანდელი შესაძლებლობები, მოთამაშეთა სპორტული ფორმა, კოლექტივში შექმნილი მებრძოლი, მეგობრული ატმოსფერო საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გუნდი შეინარჩუნებს თავის პოზიციებს, მაგრამ გადამწყვეტი, უკომპრომისო ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა, საჭირო ქულების ასაღებად ქუთაისელებმა არ უნდა დაზოგონ ძალები, ითამაშონ ისე კარგად, როგორც ბოლო ხანებში თამაშობენ.

ორი მატჩი აქვს ჩასატარებელი შინ ბაქოს „ნეფთჩის" (დონეცკის „შახტიორთან" და კრასნოდარის „ყუბანთან"). ბაქოელებსაც დიდი შანსები აქვთ იბრძოლონ საიმისოდ, რომ შეინარჩუნონ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება.

აი, კრასნოდარის „ყუბანის" პოზიციები კი არ არის მყარი. მისი დარჩენილი მატჩები ქუთაისსა და ბაქოში გუნდის გულშემატკივრებს ბევრს არაფერს პირდება.

ამრიგად, დღევანდელ, 16 ნოემბრის ტურსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს უმთავრეს, საკვანძო საკითხებს. თუ მინსკის დინამოელებმა მოსკოვში დაამარცხეს ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდი და თბილისის „დინამომ" მოუგო კიეველებს, ჩემპიონობის საკითხი საბოლოოდ გაირკვევა, მინსკის დინამოელებს ოქროს მედლები განაღდებული ექნებათ. ასევე შეიძლება გაირკვას მეორე გუნდის საკითხიც, რომელმაც უნდა დატოვოს უმაღლესი ლიგა: საამისოდ ქუთაისელებმა უნდა დაამარცხონ კრასნოდარის „ყუბანი" და აუტსაიდერთა ჯგუფშიც ყველაფერი დღესვე გაირკვევა. არის სხვა რამდენიმე ვარიანტიც, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის ფინიში მეტად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლას პირდება ფეხბურთის მოყვარულებს.

ბ. ქორქია.

ფინიშთან პირველი

ტოკიო, 14 ნოემბერი. საბჭოთა მორბენლებმა — ალმაათელმა ზოია ივანოვამ და მინსკელმა ელენა ცუხლომ ყველაზე სწრაფად დაფარეს იაპონიის დედაქალაქის ქუჩებზე გამავალი საერთაშორისო მარათონის ტრასა (42 კმ 195 მ). უმაღლესი საკავშირო მიღწევით ფინიშთან პირველი მივიდა ივანოვა — 2:24.26, მეორე იყო ცუხლო — 2:38.17. მესამე — ფრანგი სპორტსმენი შანტალ ლანგლასი — 2:42.18.

ტოკიოს ტრადიციულ მარათონში იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, კენიის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის, სსრ კავშირისა და საფრანგეთის 62 სპორტსმენი ქალი მონაწილეობდა. (საკდესი).

კვლავ სტივენსონი

კუბელმა მოკრივეებმა ამერიკის ქალაქ რენოს (ნევადის შტატი) სარბიელზე გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 8:4 სძლიეს აშშ-ს ეროვნულ გუნდს.

მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ რინგზე მძიმეწონოსნების — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კუბელი თეოფილო სტივენსონისა და 21 წლის მსოფლიო ჩემპიონის ამერიკელი ტაირელა ბიგსის გამოსვლას. სტივენსონს, მიუხედავად თავისი ხნოვანებისა (მეტოქე მასზე 10 წლით ახალგაზრდაა), აშკარა უპირატესობა ჰქონდა. დასაწყისში მან ორჯერ გაგზავნა ბიგსი ნოკდაუნში, ხოლო მეორე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა. საგულისხმოა, რომ სტივენსონმა თავისი სპორტული კარიერის მანძილზე 241 ბრძოლა მოიგო და მხოლოდ 13-ჯერ დატოვა სარბიელი დამარცხებულმა.

● ძალოსნობა

ძალოსანთა მსოფლიო თასი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა, ბულგარელმა ბ. ბლაგოევმა (90 კგ წონითი კატეგორია). ამ საპატიო პრიზისთვის ბრძოლის ბოლო ეტაპზე შვეციის ქალაქ ჰალმსტადში ბლაგოევმა 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ჯერ აიტაცა 193 კგ, ხოლო შემდეგ 195. საბოლოოდ კი ორჭიდში 417,5 კგ მოაგროვა. საერთო ჩათვლაში II და III ადგილებზე გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონები ბლაგოევის თანამემამულე ი. რუსევი (75 კგ) და საბჭოთა ძალოსანი, კიეველი ა. პისარენკო (110 კგ-ს ზევით).

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, კოსტავას, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08552